პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 217 (5507)

1975 წ. 1 ნოემბერი, შაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

იმედი დიდი ძალაა

ბაქო, 31 ოქტომბერი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მშდ კომპლექსის მრავალჭიდში სსრ კავშირის ჩემპიონატი გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის" პრიზზე დღეს მთავრდება, მაგრამ გუნდურ ჩათვლაში ლიდერებისა და აუტსაიდერების კონტურები უკვე ნათლად გამოისახა. ყველა საფეხურის ნიშნოსანთა ასპარეზობაში 8-8 სახეობაში ტურნირების დამთავრების შემდეგ ჩემპიონატს რსფსრ-ს (I გუნდი), უკრაინისა და აზერბაიჯანის კოლექტივები ლიდერობდნენ, საქართველოს ნაკრები კი მხოლოდ XIV ადგილზე იმყოფებოდა. ჩვენი გუნდის წარუმატებლობის მიზეზები მკითხველებმა უკვე იციან. გუნდს 2 წევრი სტარტზევე გამოაკლდა, ს. ნოვოსელცოვამ ხელყუმბარის ტყორცნაში ჩათვლა ვერ მიიღო, IV საფეხურის II ასაკობრივ ჯგუფში მოასპარეზე ქალები კი სამის მაგიერ 2 მონაწილით გამოდიან. მიზეზები, როგორც ჩანს, საკმარისზე მეტია.

საქართველოს ნაკრებმა გუშინ მდგომარეობა ერთგვარად გამოასწორა. ტყვარჩელის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლემ ნ. კოჩეტკოვმა, რომელიც II საფეხურის ნიშნოსანთა შორის ასპარეზობს, ჩოგბურთის ბურთი 49,30 მეტრზე ტყორცნა და V ადგილი დაიკავა. IV საფეხურის I ასაკობრივ ჯგუფში ქალთა შორის გულრიფშელმა გ. ძიუბანმა და სოხუმელმა ც. კამლიამ ხელყუმბარა შესაბამისად 48.16 და 42,92 მეტრზე ტყორცნეს და მე-7 და მე-8 ადგილები მოიპოვეს. ძიუბანმა, კამლიამ და თბილისელმა ნოვოსელცოვამ გუშინ ტყვიის სროლაშიც გამოიჩინეს თავი — 50 შესაძლებლიდან თითოეულმა შესაბამისად 48-48 და 47 ქულა მოაგროვეს, რისთვისაც კოეფიციენტთა ცხრილით საერთო ჯამში 89 ქულა მიიღეს და თავიანთ ასაკში გუნდური III ადგილი დაიკავეს. მათ მხოლოდ რსფსრ-ს პირველმა (99 ქულა) და უკრაინის (98) გუნდებმა აჯობეს.

ტყვიის სროლაში მოლოდინს გადააჭარბეს „შრომითი რეზერვების" რესპუბლიკური საბჭოს მწვრთნელმა მძლეოსნობაში თ. როჟმანოვამ და საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლის მწვრთნელმა გ. ზრაჟევსკაიამ. ორივემ მებრძოლის შესანიშნავი თვისებები გამოავლინა: როჟმანოვამ საწვრთნელ გასროლებში 30-დან მხოლოდ 22 ქულა მოაგროვა, შემდეგ კი 5 ჩასათვლელი გასროლით 48 ქულა აჩვენა და III-V ადგილები გაიყო, ხოლო ზრაჟევსკაიამ, რომელსაც ხელყუმბარის ტყორცნაში ასპარეზობისას ფეხის კუნთი დაეჭიმა, 100 მეტრზე რბენაში ჩათვლა მაინც მიიღო, სროლა ცუდად

(დასასრული მე-4 გვ.).

შამუგიას ოქროს მედალი

ლონდონი, 30 ოქტომბერი. ინგლისის დედაქალაქის „უემბლის" სპორტულ დარბაზში ფინიში ჰქონდა მსოფლიო თასის გათამაშებას სპორტულ ტანვარჯიშში. ბოლო დღეს მოეწყო ცალკეულ იარაღებზე ასპარეზობა. კვლავ ტრიუმფალური იყო მსოფლიო თასის მფლობელის ლ. ტურიშჩევას გამოსვლა. იგი ოთხივე იარაღზე პირველი იყო. ვერცხლის 3 მედლის (2 ვერცხლის, 1 — ბრინჯაოსი) მფლობელი გახდა მოსკოველი ე. საადი. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიხვეჭა უნგრელმა მ. ეგერვარიმ, ვერცხლის მედალი — ტ. უნგურიანუმ (რუმინეთი).

ტრავმის გამო შეჯიბრებაში არ გამოდიოდა ო. კორბუტი.

ვაჟთა შორის მსოფლიოს თასის მფლობელმა ნ. ანდრიანოვმა დაისაკუთრა 1 ოქროს (ორძელზე), 2 ვერცხლის მედალი (ტაიჭსა და თავისუფალ ვარჯიშში). პ. შამუგია ოქროს ლაურეატი გახდა ხტომაში. ვ. საფრონოვს 2 ბრინჯაოს მედალი ხვდა.

წარმატებით იასპარეზეს იაპონელმა ტანმოვარჯიშეებმა. მ. ცუკაჰარამ ოქროს მედლები მოიხვეჭა რგოლებსა და ლერძზე ვარჯიშში. ხ. კაჯაიამა პირველი იყო თავისუფალ ვარჯიშში. ტაიჭზე ვარჯიშში პირველი იყო უნგრელი ზ. მადიარი.

●

(შამუგიას შესახებ ფოტონარკვევი იხ. მე-3 გვერდზე).

ნ. გაფრინდაშვილ — ნ. ალექსანდრიას მატჩი მსოფლიო პირველობაზე

მეხუთე პარტია

ალიოხინის დაცვა.

გაფრინდაშვილი — ალექსანდრია

ბიჭვინთა, 30 ოქტომბერი

1. e4 მf6 2. e5 მd5 3. d4 d6 4. c4 მb6 5. f4 de 6. fe მc6 7. კe3 კf5 8. მc3 e6 9. მf3 კe7 10. d5 ed 11. cd მb4 12. მd4 კd7 13. e6 fe 14. de კc6 15. ლg4 კh4+ 16. g3 კ:h1 17. gh 0—0 18. 0—0—0 ლf6 19. კe2 ლe5 20. კg5 c5 21. e7 cd 22. efლ+ ე:f8 23. ლ:d4 ლ:d4 24. ე:d4 მc6 25. ეf4 მe5 26. ე:f8+ მფ:f8 27. კf4 მf3 28. h5 g6 29. hg hg 30. კd3 მh4 31. მb5 კd5 32. b3 მc8 33. მc7 კc6 34. მe6+ მფg8 35. მd4 კd7 36. კe4 b6 37. კd5+ მფf8 38. კg5 მf5 39. მe6+ მფe8 40. მf4 მe7 41. კe4 მფf7 42. მფb2. პარტია გადაიდო.

ეს არის მატჩის პირველი პარტია, რომელშიც თეორიული სადებიუტო პაექრობა გაჩაღდა. მეტოქეებმა ალიოხინის დაცვა გაითამაშეს.

ალიოხინის დაცვა ერთ-ერთი მწვავე ტაქტიკური თამაშით აღსავსე სადებიუტო სისტემაა. მას საუცხოოდ იცნობს ალექსანდრია. იგი წარმატებით გამოუყენებია დიდმნიშვნელოვან შეხვედრებში. ცხადია, მატჩშიც ითამაშებდა მას. ჩანს, გაფრინდაშვილმა გაითვალისწინა ეს და ამ დაცვის ერთ-ერთი დღეისთვის აქტუალური ვარიანტი საგულდაგულოდ მოამზადა.

თამაში უკვე გაკვალული, მაგრამ უაღრესად მწვავე გზით წარიმართა. ჯერ ფიგურების განვითარება დამთავრებული არ იყო, რომ მსოფლიო ჩემპიონმა პაიკთა ცენტრი აამოძრავა. მერე ხარისხიც შესწირა. მეტოქეებმა თავიანთ გვირგვინოსნებს თავშესაფარი მიუჩინეს.

ეს ყველაფერი (პირველი თვრამეტი სვლა) გაკეთდა სსრ კავშირის ვაჟთა შარშანდელი ჩემპიონატის I ლიგის ტურნირის კუპრეიჩიკ — ალბურტის პარტიაში (იხ. სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის სპეციალური ბიულეტენი — „სსრ კავშირის 42-ე ჩემპიონატის უმაღლესი ლიგა", 1975 წლის 4 თებერვალი, № 8, გვ. 7). რა თქმა უნდა, მეტოქეები იცნობდნენ ამ პარტიას. ალბურტმა შესანიშნავად განავითარა იერიში, ლაზიერიც შესწირა და გაიმარჯვა.

მოსალოდნელი იყო, რომ გაფრინდაშვილს სიახლე ჰქონდა მომზადებული, თორემ რატომ გაჰყვებოდა თეთრებისთვის მარცხიან გზას. ეს სიახლე მისი მე-19 სვლა აღმოჩნდა. თამაში კიდევ უფრო დაიძაბა.

დიდ ძალად იქცა მსოფლიო ჩემპიონის ცენტრალური გამსვლელი, პაიკი. ალექსანდრიამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო: უკან დააბრუნა ხარისხი და ძლიერი პაიკი თავიდან მოიცილა. თამაში მრავალფიგურებიან ენდშპილში გადავიდა.

მერე ალექსანდრიამ მეტოქეს გაორებული პაიკი გააცვლევინა. მას ის მოჰყვა, რომ გაფრინდაშვილის ორი კუს უპირატესობა უფრო ნათელი შეიქნა.

ბრძოლა მწვავედ გრძელდებოდა. ინიციატივას გაფრინდაშვილი ჰფლობდა. მაგრამ ალექსანდრია სწორად რეაგირებდა მეტოქის მუქარებს. თანდათან მან თავისი მხედრები ცენტრში გაამაგრა, მათ მეფეც გვერდში ამოუყენა.

ამასობაში თამაშისთვის გამოყოფილი ხუთი საათი ამოიწურა და პარტია გადაიდო დაახლოებით თანაბარ მდგომარეობაში.

თ. გიორგაძე.

• • •

სურათებზე: სათამაშოდ მოვიდნენ ნ. გაფრინდაშვილი (მარცხნივ) და ნ. ალექსანდრია.

მ. ზარგარიანის ფოტოები (ჩვენი სპეც. კორ.).

მესამე პრიზიორიც გამოვლინდა

მოსკოვში, ცსკა-ს საცურაო აუზში დამთავრდა 1-6 ადგილებისთვის მებრძოლი უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატი. როგორც ცნობილია, ოქროსა და ვერცხლის მედლების მფლობელები გახდნენ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბისა და მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდები. მესამე საპრიზო ადგილს უმიზნებდნენ მოსკოვისა და კიევის დინამოელები. ბოლო ტურში ბრინჯაოს მედლის პრეტენდენტები შეხვდნენ ერთმანეთს. მოსკოველებისთვის მატჩის ფრედ დამთავრებაც საკმარისი იყო, რომ მესამე ადგილი მოეპოვებინათ. ასეც მოხდა — თამაში დამთავრდა ანგარიშით 2:2.

მოსკოველ მეზღვაურთა და მათი თანაქალაქელი სტუდენტების მატჩში გაიმარჯვეს პირველებმა — 8:7.

თბილისის „დინამოს" ბოლო შეხვედრა ჰქონდა ბაქოს წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდთან. გაიმარჯვეს თბილისელებმა — 8:5.

გათამაშების საბოლოო ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსფ ცსკ	16	14	1	1	105—74	29
უნივერსიტ.	16	12	0	4	101—72	24
„დინამო" მ.	16	8	5	3	86—79	21
„დინამო" კ.	16	9	2	5	93—83	20
წკფ	16	7	2	7	79—71	16
„დინამო" თბ.	16	5	2	9	72—91	12

საქართველოს სამბისტთა წარმატება

ამას წინათ მანჩესტერში (ინგლისი) ჩატარდა სამბოს მწვრთნელთა და მსაჯთა სემინარი, რომლის მონაწილეებმა — საფრანგეთის, ირლანდიის, იტალიისა და დიდი ბრიტანეთის სპეციალისტებმა ინტერესით მოისმინეს საბჭოთა წარმომადგენლების, სსრ კავშირის ნაკრების მწვრთნელების ს. იონოვისა და ი. კურიცინის მოხსენებები. მოხდა გამოცდილების გაზიარება, წვრთნის მეთოდიკისა და შეჯიბრების ჩატარების წესების დაზუსტება.

შემდეგ, ქალაქ ჰანდერსვილდში გაიმართა სამბისტთა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ხუთი ქვეყნის ათლეტებმა. სსრ კავშირის ნაკრების ღირსებას იცავდნენ: ი. მაღალაშვილი (57 კგ), ა. ოქროპირიძე (82 კგ), ნ. ექვთიმიშვილი (100 კგ) და რ. ოდიშელიძე (მძიმე). სსრ კავშირის მოჭიდავეებმა გუნდური პირველობა მოიგეს. მომდევნო ადგილებზე არიან საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის სამბისტები.

ინტერნაციონალურ ოჯახში

ნარკვევი

ყველაზე მოუსვენარი ბურთის მომთვინიერებელი

ეს არის დაუდგრომელი ბურთი, კვიმატი, თუ გნებავთ, ხუმარაც კი. იგი დაფრინავს, დახტის, წამდაუწუმ იცვლის მიმართულებას, ზოგჯერ დაფარფატებს, ზოგჯერ მოიწყენს კიდეც. მინორი და მაჟორი ერთმანეთშია გადახლართულ-გადაჯაჭვული. მონოტონური რაკარუკი ენაცვლება აფეთქების მაგვარ გამოძახილს — ეს პაწაწინა, გაგულისებული თეთრი ბურთი საშინელი ძალით დაენარცხა მწვანე მაგიდას. დიახ, თვით ერთი შეხედვით ასეთ უმწეო, სიფრიფანა ბურთსაც აქვს თავისი რომანტიკა, თავისი სიხარული და ნაღველი. რა ვუყოთ, თუკი იგი ლამორისის სასწაულმოქმედ წითელ ბუშტს არა ჰგავს, განა მას ნაკლები სასწაულები უჩვენებია ჩვენთვის? იგი არ თხოულობს კომფორტს, განსაკუთრებულ პირობებს, სივრცეს, მოვლას. იგი, პატარა ბურთი, მომცრო ჩოგანი და მწვანე მაგიდა, ერთობ უპრეტენზიო სპორტის სახეობის სიმბოლოები არიან. ისინი ქმნიან წარმტაც თამაშს, ურომლისოდაც მსოფლიოს გვარიან ნაწილს ბევრი რამ დააკლდებოდა, რადგან მაგიდის ჩოგბურთი, ანუ როგორც ჩვენს სიყმაწვილეში პირველად გავიცანით პინგ პონგი, არის ხალასი, ელვისებური რეაქცია, რეაქტიული სახეობა, საბოლოო ჯამში უდიდესი სპორტული და ესთეტიკური სიამოვნების მომგვრელი რამ. რატომ შევაქციეთ ზურგი ამ მომხიბლავ თამაშს, რატომ გავაძევეთ იგი წარმოება-დაწესებულებებიდან, ბაღებიდან და პარკებიდან?. რატომ ვერეკებით ამ უწყინარ, კეთილშობილ თამაშს ლამის სპორტული დარბაზებიდანაც კი? ალბათ, ჩვენი ტრადიციული „ლმობიერება“ და სტუმარმასპინძლობა რომ არა, მას, მაგიდის ჩოგბურთს, საერთოდ დავატოვებინებდით სპორტულ სანახებს. იგი კი ამას არ იმსახურებს, რადგან პინგ პონგი იმთავითვე მოვიდა ჩვენთან, როგორც კეთილისმყოფელი, ხალისისა და მხნეობის შემმატებელი თამაში, როგორც სალაღობო გასართობი, როგორც დასვენების საუცხოო საშუალება. ვაი, რომ ჩვენს მაგიდის ჩოგბურთს ახლა დაცვაც კი სჭირდება, ზოგ-ზოგი არაშორსმჭვრეტელი მოღვაწის დარწმუნება, არც ისეა საქმე, როგორც თქვენ გგონიათ, პინგ პონგი სერიოზული თამაშია და გადასაგდებად ნუ გემეტებათ-თქო.

მაგიდის ჩოგბურთისადმი ასეთი, რბილად რომ ვთქვათ, უპატივცემულო დამოკიდებულების მიზეზით „დაიჩაგრა“ თვით სარქის სარხოიანი, ჩვენი წერილის გმირი, საბჭოთა კავშირის ოცდაოთხგზის ჩემპიონი, ევროპის თასის მფლობელი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მრავალგზის პრიზიორი, სტუდენტთა მსოფლიო თამაშების აბსოლუტური ჩემპიონი, ინგლისის, ირლანდიის, სკანდინავიის ქვეყნების, საფრანგეთის, ავსტრიის, იუგოსლავიის, დასავლეთ გერმანიის, შვეიცარიის ღია ჩემპიონატებში გამარჯვებული, სხვადასხვა მასშტაბის საკავშირო და საერთაშორისო ტურნირებში ტრიუმფს ხომ ჭეშმარიტად თვლა არა აქვს. მერედა რა? სარხოიანის სახელი მაინც ჩრდილში დგას, სპორტის მოყვარულთა დიდი ნაწილისთვის მისი სათამაშო ხელოვნება, რომელიც მსოფლიო სტანდარტის დონეზე დგას, აბსოლუტურად უცნობია. მიზეზი? მიზეზი მხოლოდ ერთია: უგულისყურობამ მაგიდის ჩოგბურთისადმი ლამის ჩაკლა ჩვენი საზოგადოებრიობის ინტერესი ამ თამაშისადმი და, ბუნებრივია, მისი თვალსაჩინო წარმომადგენლებისადმიც.

ქართველ გულშემატკივრებს თითქმის არაფერს ეუბნება გომოზკოვის, რუდნოვას, იუჰანსონის, ბენგტსონის, იონერის, კიმურასა და პატარა ჩოგნის სხვა სახელოვანი ოსტატების სახელები. მაგიდის ჩოგბურთი ჩვენში თავისებურ ნაკრძალად იქცა, სადაც მხოლოდ მცირეოდენ გამორჩეულთ თუ შეესვლება. მაღალი, ძალზე მაღალი ხეების ტყე ფარავს ჩვენგან ამ ნაკრძალს. ვისი მიზეზით, რისი მიზეზით, ამას ნუღარ გამოვეკიდებით. თავისთავად ფაქტი, რომ ჩვენ ვერ შევაფასეთ სარხოიანის თითქმის თხუთმეტწლიანი ბრწყინვალე საერთაშორისო სპორტული კარიერა, უკვე ბევრ რამეზე მეტყველებს.

ეს ამაო ტირადა არ არის. ეს არც გამოსარჩლება და დაცვაა მაგიდის ჩოგბურთისა, რომელსაც, სხვათა შორის, მარტო მედლები როდი მოაქვს. იგი ჩვენი საკურორტო პეიზაჟის, ჩვენი ყოველდღიური ყოფაცხოვრების განუყრელი ნაწილი იყო და აღარ არის. აი, რა გახლავთ მთავარი. ტყუილად ჰგონია ზოგიერთს, თითქოს პინგ პონგი თავისებური სპორტული ანაქრონიზმია და საბოლოოდ გაუვიდა ყავლი. ევროპაში და აზიის ბევრ ქვეყანაში, ისევე როგორც სხვა კონტინენტებზე, ჩოგბურთის მაგიდების რიცხვი მსუბუქი მანქანების რაოდენობას სჭარბობს, ხოლო ამ თამაშის დიდოსტატები პოპულარობით როდი ჩამოუვარდებიან სხვა სახეობათა წარმომადგენლებს. თანაც, ალბათ არც ერთი თამაში ისე არ გამოხატავს მეოცე საუკუნის რიტმს, როგორც ჩვენგან დაუმსახურებლად მივიწყებული და დაჩაგრული პინგ პონგი.

მაგიდის ჩოგბურთი თავის დროზე ლამის „ბათუმურ“ თამაშად ითვლებოდა. ამ ქალაქში ყველა თამაშობდა პინგ პონგს, დიდიცა და პატარაც. ისეთი სპორტსმენები, როგორიც სარხოიანი, რამაზაშვილი და სხვანი არიან, შემთხვევით, საჩოგბურთო უდაბნოში ვერ დაიბადებოდნენ. ისინი ბათუმმა გამოზარდა, მრავალრიცხოვანმა მაგიდებმა დააოსტატა, რომლებიც მიმობნეული იყო სანაპიროს გასწვრივ მდებარე ჩრდილიან პარკებსა და ხეივნებში. პირველი, რაზეც გულისტკივილით შემოგვჩივლა სარხოიანმა, ეს ბათუმში მაგიდის ჩოგბურთისადმი ტრადიციული სიყვარულისა და მისწრაფების უდიდესი შენელებაა. თითქოს უგულო კაცმა ჩამოიარა სანაპიროზე და ზღვას გაატანა მწვანე მაგიდები. ამიტომაა, რომ სარხოიანი, თემურ რამაზაშვილი, სემილა პარფინიდი და ბათუმელ ჩოგბურთელთა ნიჭიერი ტალღა, რომელიც ორმოცდაათიანი წლების მიწურულში იშვა; ობლად მიიკვლევს გზას სპორტულ გზებსა და გზაჯვარედინებზე. მათ მხარში კარგა ხანია აღარავინ ამოსდგომია. ნუთუ სარხოიანი ჩვენი მაგიდის ჩოგბურთის უკანასკნელი მოჰიკანია, ნუთუ საქართველოს წარმომადგენელთაგან მომავალში ვერავინ შეძლებს გაუტოლდეს საერთაშორისო დონეს, ნუთუ ჩოგბურთის მაგიდები თავიანთ პირდაპირ დანიშნულებას დაჰკარგავს და საყოფაცხოვრებო მიზნებით იქნება გამოყენებული? ეს კითხვები ღიად რჩება და, როგორც იტყვიან, ჰაერშია გამოკიდებული.

ჩვენ კი შევცვალოთ წერილის მიმართულება და შევეცადოთ თავისი მივუზღათ სარქის სარხოიანს, ჩემპიონთა ჩემპიონს, სპორტსმენს, რომლის ჩოგანი დღემდე საგულისხმო გამარჯვებებს იმკის.

იგი, სარხოიანი, დიდხანს ყოყმანობდა, ფეხბურთი აერჩია თუ მაგიდის ჩოგბურთი. გონების ხმა ყმაწვილს ჩასძახოდა, ფეხბურთს მიჰყევი, რითაც დაიწყე, იმით გააგრძელეო, მით უმეტეს, რომ მისგან ურიგო ფეხბურთელი არ უნდა გამოსულიყო. მაგრამ სარხოიანის სიყვარულს ფეხბურთისადმი უფრო ძლიერი გატაცება გადაეღობა. ფეხბურთისგან თავისუფალ დროს, თუკი გაკვეთილები არ ჰქონდა სასწავლი, სანაპიროზე მდებარე პარკში ატარებდა. აქ ეგულებოდა ჩოგბურთის მაგიდა, სადაც მარტო რჩებოდა მეტოქის პირისპირ. მას უყვარდა მაგიდის ჩოგბურთი, როგორც ბათუმში დაბადებულ ყველა ბიჭს, მაგრამ იგი უფრო „დამხმარე“ თამაშად მიაჩნდა. ასეც იქნებოდა, ერთი შემთხვევა რომ არა.

— „პროფესიონალები“ იშვიათად ეთამაშებიან დილეტანტებს. ეს ასეც უნდა იყოს. მაგრამ სპორტი მოულოდნელობებითაა აღსავსე. იმ დღეს ალბათ ძალზე კარგად ვთამაშობდი, რადგან თვით აჭარის ჩემპიონმა მოიწადინა მოესინჯა ჩემთან ძალა. არ ვიცი იმიტომ, რომ „საკუთარ“ მოედანზე“ ვთამაშობდი, არ ვიცი იმიტომაც, რომ თემური ზერელედ მოეკიდა თამაშს, მე მოვიგე. შეფიქრიანებულმა ჩემპიონმა შემომთავაზა თამაში „ველური“ პირობებიდან მის „მოედანზე“, ანუ სპორტულ დარბაზში გაგვეგრძელებინა. იქ დაგვხვდა ნამდვილი მაგიდა, ნამდვილი ჩოგნები და თქვენ წარმოიდგინეთ, ნამდვილი მწვრთნელიც კი. რა თქმა უნდა, წავაგე. და მაშინ დავინახე, რამდენად რთული თამაში ყოფილა მაგიდის ჩოგბურთი. გონებაში გამიელვა: „უფრო რთულიც კი, ვიდრე ფეხბურთი“. აი, მაშინ ვიგრძენი, რომ ფეხბურთი ინერციით, გონებით მყვარებია, მაგიდის ჩოგბურთი კი გულით. თამაშის შემდეგ თემური და მწვრთნელი განმარტოვდნენ. ალბათ იმ წუთებში დაიბადა მომავალი მაგიდის ჩოგბურთელიც. მერე „დიაგნოზი“ დამისვეს: შენ ჩოგბურთელი ხარ, უფრო სწორად, იქნები და ძალიან მალეც. აი, ასეთი მეტამორფოზაც ხდება ადამიანის ცხოვრებაში ერთი არასრული დღის მანძილზე. ერთი სიტყვით, ჩოგბურთის თამაში დამაწყებინა მწვრთნელმა კარლო გუგუშვილმა, რომლის მადლიერი სამუდამოდ ვიქნები. დაახლოებით ასევე მოვიდა ჩოგბურთში ჩემი ახლო მეგობარი, მომავალში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი თემურ რამაზაშვილიც. იგი თავიდანვე ძალიან ნიჭიერი ჩოგბურთელი იყო, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ გამოავლინა საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე თავისი ნამდვილი შესაძლებლობანი. მე ახლაც მგონია, თემური ბათუმიდან თბილისში საცხოვრებლად რომ არ გადმოსულიყო, უფრო გაიშლებოდა მისი თანდაყოლილი საჩოგბურთო ნიჭი.

ასე იყო თუ ისე, ერთი თვის ვარჯიშის შემდეგ თბილისში ჩამოგვიყვანეს და ჯერაც სრულიად ნორჩებს მოზრდილთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში მონაწილეობა გვანდეს. მაშინ თორმეტიოდე წლისა თუ ვიქნებოდით. ცუდად გამოვედით, მაგრამ მოვიხიბლეთ თბილისით და იმ განუმეორებელი სპორტული ატმოსფეროთი, რომელიც მაშინ სუფევდა დედაქალაქის სპორტულ დარბაზებში. მე და თემური ამის შემდეგაც ბევრს ვთამაშობდით ერთად, როგორც თანაქალაქელები და ტოლები. შეძლებისდაგვარად ვეხმარებოდით ერთმანეთს და რაც მთავარია, უანგაროდ ვმეგობრობდით.

ჩემი პირველი სერიოზული დებიუტი 1959 წელს შედგა, უკვე ერთი წლის შემდეგ კი ჭაბუკთა რესპუბლიკურ ნაკრებში შეიყვანეს და იმ პერიოდს დღემდე ტკბილად ვიგონებ...

ოთხი წელი იმორჩილებდა, ხუდნიდა, ტუქსავდა და, რა თქმა უნდა მეგობრობდა პატარა მოუსვენარ ბურთთან სარქის სარხოიანი, ვიდრე მას საბოლოოდ დამჯერეს და ერთგულს გაიხდიდა. ოთხი გრძელი, დაძაბული წელი არ მოსცილებიან სარხოიანი და კარლო გუგუშვილი მწვანე მაგიდას, რათა ჭადრაკის მსგავსად მოენახათ ყველაზე რაციონალური და ოპტიმალური სვლები გამარჯვებისკენ. ჩვენ დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ თავის სპორტულ გარიჟრაჟზე სარხოიანს ფეხბურთთან ერთად მძლეოსნობაც, კერძოდ, სიმაღლეზე ხტომა ძალზე იზიდავდა და მისგან მინიჭებული მადლი დღემდე დაუფასებელ სამსახურს უწევს. მაგიდის ჩოგბურთელი მართლა ერთი ციცქნა მაგიდის მონა როდია. იგი მრავალმხრივი სპორტსმენი და ათლეტია ამ სიტყვების სრული მნიშვნელობით. იგი სარხოიანის მსგავსად დარბის და ცურავს, ეწევა სიმძიმეებს და გაუთავებლად ასრულებს ტანვარჯიშულ ვარჯიშებს. ამიტომ მოჩვენებითი სიმსუბუქისა და სილაღის მიღმა ზღვა შრომაა გაწეული.

ოთხი გრძელი წელი და ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატის ოქროს მედალი. ასეთი იყო სარხოიანის გზა თავისი პირველი დიდი გამარჯვებისკენ. 1965 წლიდან მისი გვარი პირველად ჩაინიშნეს მაგიდის ჩოგბურთის ევროპულმა სპეციალისტებმა, როცა პრაღაში კონტინენტის პირველობაზე იხილეს გრუზათმიანი, მოქნილი და გონებამახვილი ჭაბუკი სპორტსმენი. ხოლო ნამდვილი გამარჯვება საერთაშორისო სარბიელზე ისევე მოულოდნელად მოვიდა, როგორც იგი დაუკავშირდა მაგიდის ჩოგბურთს.

— 1966 წელს სათადარიგო მოთამაშედ წამიყვანეს ლონდონში, სადაც ევროპის პირად-გუნდური ჩემპიონატი გაიმართა. ამ დროისთვის ჩემს აქტივში უკვე იყო გამარჯვება ლეგენდარულ ზოლტან ბერციკთან. მაშინ საბჭოთა მაგიდის ჩოგბურთი ისე დაწინაურებული როდი იყო, როგორც დღესაა. მაგალითად, არც ერთხელ არ გვყავდა დამარცხებული იუგოსლავიის გუნდი. მახსოვს, ლონდონის სასტუმროდან გამოვედით, ავტობუსში ჩავსხედით და სათამაშოდ გავეშურეთ. ნაკრების მწვრთნელმა ყველას გასაგონად ნაღვლიანად ჩაილაპარაკა: იუგოსლავიასთან არასდროს მოგვიგია და ალბათ არც დღეს გვიწერია გამარჯვებაო. ამ ნათქვამს სხვანაირად ნუ გაიგებთ, მწვრთნელს, ეტყობა, ჩვენში ჯანსაღი პატივმოყვარეობის გაღვიძება ეწადა. აკი მიაღწია კიდეც. მე, ჯერ კიდევ ახალგაზრდა სპორტსმენი, უმალ ფეხზე წამოვდექი და ანთებული თვალებით შევძახე: დარწმუნებული ვარ, დღეს ნავსს გავტეხავთ და უთუოდ გავიმარჯვებთ-მეთქი. მაშინ იუგოსლავიელებთან დღეს შენ ითამაშებო, მითხრა.

ძალთა უჩვეულო მოზღვავება ვიგრძენი. იმ დღეს სამი თამაშიდან სამივე მოვიგე. საბოლოოდ მატჩში გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. ფინალურ შეხვედრაში შვედებთან, როცა ანგარიში 2:2 იყო, ყველაფერი უნდა გადაეწყვიტა ჩემს შეხვედრას მსოფლიო ჩემპიონ იუჰანსონთან. გადამწყვეტ პარტიას ვიგებ ანგარიშით 12:3, ვიფიქრე, ეს კი ნაღდად მოვიგე-მეთქი, მაგრამ მოვეშვი და უმალ დავისაჯე კიდეც. ეს იყო ჩემთვის საუცხოო გაკვეთილი, რომელიც მომავალში ბევრჯერ სასიკეთოდ გამომადგა.

მკაცრი, უშელავათო გაკვეთილები რამდენიც გნებავთ, იმდენი ყოფილა სარხოიანის სპორტული კარიერის მანძილზე. 1967 წელს იგი პირველად ეთამაშა იაპონელებს, მაგიდის ჩოგბურთის ჯადოქრებს და ევროპელებისგან პრინციპულად განსხვავებული მანერის სპორტსმენებს. სამი შეხვედრა — სამი გამარჯვება. მაგრამ ეს გამარჯვებები სარხოიანს ჯოჯოხეთურ შრომად დაუჯდა.

— იაპონელი ჩოგბურთელების შესახებ ყველას სმენია, სულერთია, უყვარს ეს თამაში თუ არა. მაგრამ ალბათ ბევრმა არ იცის, რომ იაპონელთა ძალა მარტო თავისებური მანერითა და დახვეწილი ტექნიკურ-ტაქტიკური არსენალით როდი ამოიწურება. ისინი ნამდვილი სპორტსმენები არიან სულით, ბოლომდე მებრძოლნი, შემართებულნი, თუ გნებავთ, თავგანწირულნიც. იაპონელისთვის მატჩი მთავრდება მაშინ, როცა უკანასკნელი ბურთი გათამაშდება და საბრძოლო აღარაფერი რჩება. ამ მხრივ მათგან სწავლა სათაკილო როდია. ამაში ერთხელ კიდევ დამარწმუნა წაგებამ იაპონელ კიმურასთან სტოკჰოლმის მსოფლიო ჩემპიონატში (ამჟამად იგი იაპონიის ნაკრების მოთამაშე მწვრთნელია).

ეს არის ფრაგმენტები, რომლებსაც სარხოიანი ჩემთან საუბარში იხსენებდა. მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტი, რამდენიმე გაელვება არც თუ ისე შორეული წარსულისა, რომელიც ჰკვებავდა, ზრდიდა მის დღევანდელ მიღწევებს. სარხოიანზე წერენ უცხოეთის ჟურნალ-გაზეთები, მისი სახელი შიშის ზარს სცემს მსოფლიოს ბევრ ვარსკვლავს. რამეთუ დედამიწის ზურგზე არ არის დღესდღეობით ასე თუ ისე ძლიერი ჩოგბურთელი, ვისთვისაც სარხოიანს არ მოეგოს. დიდი ჩოგბურთისა არ იყოს, პინგ პონგსაც ჰყავს ათიოდე ექსტრა-კლასის ოსტატი, რომელთაგან ძნელია უძლიერესის გამოყოფა, რადგან მათი კლასი ძალზე ახლო დგას ერთმანეთთან. ერთი კი ცხადია, სარხოიანი უდავოდ მსოფლიოს საჩოგბურთო ელიტის წევრია წლების მანძილზე.

ა. გოგელია.

• • •

სურათზე: ს. სარხოიანი.
მ. ზარგარიანის ფოტო.

ივანე ჯავახიშვილის საიუბილეოდ

მერმის, აპრილში აღინიშნება დიდი ქართველი მამულიშვილის, თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებლის ივანე ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავი. თბილისის უნივერსიტეტმა და საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის საუნივერსიტეტო ორგანიზაციის მოგზაურთა კლუბმა ამ თარიღს მიუძღვნეს სამეცნიერო სპორტული ექსპედიცია მის მშობლიურ კასპის რაიონში.

ექსპედიციას დიდად დაეხმარნენ კასპის პარტიის რაიკომის პირველი მდივანი ლ. ისაკაძე და აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგე ვ. ყიფიანი. აგრეთვე კასპის, თეძამის, კავთისხევის, ქვემოჭალის, სამთავისის, ხოვლეს, ზემო ხანდაკის და ქვათახევის მოსახლეობა და სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რომლებმაც აუცილებელი საჭურვლითა და აღკაზმული ცხენებით უზრუნველგვყვეს.

და აი, 17 ოქტომბერს კავთისხევიდან ქვათახევისკენ დაიძრა ცხენოსანთა რაზმი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, თანამშრომლები და სტუდენტები: ნ. ტაბიძე (ექსპედიციის საერთო ხელმძღვანელი), ნ. ასათიანი, გ. ფარულავა, ზ. ქვანია, ზ. კიკნაძე, გ. ჯაფარიძე, ო. გოგიჩაიშვილი, თ. ტყემალაძე, რ. ურუშაძე, პ. ნაცვლიშვილი, ზ. დვალი, ამ სტრიქონების ავტორი, ხოვლეს ი. ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის გამგე ო. ელისაბედაშვილი, მეტეხის საშუალო სკოლის მასწავლებელი, მხატვარი დ. ნავროზაშვილი, კასპის სატყეო მეურნეობის მუშაკები ზ. გოგოლაძე და გ. კობაიძე (მეგზურები).

პირველსავე დღეს, წვიმისა და ნისლის მიუხედავად, მხედრებმა მოვიარეთ დიდგორი (1800 მ), სადაც 1121 წლის აგვისტოში ქართველებმა დავით აღმაშენებლის სარდლობით დაამარცხეს თურქსელჯუკთა ლაშქარი.

მეორე დღეს, აგრეთვე, ავდარში, ცხენოსნებმა გადავიარეთ ქართლის ქედი (1970 მ) და ბოტისის და შუბათის გავლით მივაღწიეთ ქსილისს. (2080 მ).

ეს ადგილიც მრავალი ისტორიული ამბის მოწმეა: ოდესღაც აქ თამარ მეფეს გადაუვლია, მთის დასავლეთით თედორე მღვდლის და გიორგი სააკაძის ნამოგზაურია — პირველმა 1609 წლის ივნისში შიდა ქართლისკენ მიმავალი ოსმალთა ჯარი ცხირეთის საზაფხულო სასახლეში მყოფ ქართველთა მეფეს ააცილა და თავი გასწირა, ხოლო მეორემ 1612 წლის მაისში მეთქმულთაგან თავდასაღწევად სოფელ წავკისიდან მშობლიურ ნოსტემდე მანძილი უბელო ცხენით ერთ ღამეში გადაიქროლა... აქედან ძალიან ახლოსაა აგრეთვე, ისტორიული კლდეკარი (2038 მ) შიდა ქართლისა და სამხრეთ საქართველოს შემაერთებელი გზა და ხიდი... საერთოდ, ყველა ეს მთა ბუნებით არაჩვეულებრივად მდიდარია და ცხენით მოგზაურთათვის მისაღწევი.

მესამე დღეს ყველაზე ძნელი გზა გვქონდა: ქსილისიდან კავთურას ხეობაში დავეშვით — გავიარეთ პარატისი, მაღალაანთ ეკლესია, გუდალეთი, ნოსტე, ახალციხე, ახალქალაქი, ზემო ხანდაკი და ჩავედით ი. ჯავახიშვილის მშობლიურ სოფელ ხოვლეში.

სამი დღის განმავლობაში რაიონის მშრომელებთან და მოსწავლე ახალგაზრდობასთან ჩვენი საუბრის მთავარი თემა იყო ივანე ჯავახიშვილის ცხოვრება და მამულიშვილური მოღვაწეობა.

გ. მანია,
ლაშქრობის ხელმძღვანელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი '75

სსრ კავშირის პირველობა

ჩემპიონატის ქრონიკა

29 ოქტომბერს ჩემპიონატის მორიგ მატჩში, რომელიც მოსკოვში შედგა, ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი და კიევის დინამოელები.

მატჩის ინტერესი იმაში მდგომარეობდა, რომ კიეველებს 1 ქულაც ეყოფოდათ ჩემპიონობის გასანაღდებლად, ვინაიდან მოსკოვის „დინამო“ ერთადერთი გუნდია, რომელსაც თეორიული შესაძლებლობა აქვს გაუსწროს კიეველებს დაგროვილი ქულებით. უკრაინელმა ფეხბურთელებმა ვერაფერი გააწყეს მეტოქესთან, რომელიც ამ დღეს თამაშობდა დიდი მონდომებით, აგრესიულად. ანგარიში პირველ ტაიმში გახსნა დოლმატოვმა, ხოლო 52-ე წუთზე პეტრუშინმა მეორედ აიღო მოწინააღმდეგის კარი. ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა შეძლო ბლოხინმა, რომელმაც 74-ე წუთზე ზუსტად გაიტანა პენალტი. მასპინძლებმა გაიმარჯვეს — 2:1.

უმაღლესი ლიგა

ფეხბურთელებმა სიცოცხლე იხსნეს

გაზეთ „ტყიბულის“ 28 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულია გ. ჩირაძის წერილი „სიკვდილს გადაარჩინეს“, რომელიც აღწერს ტყიბულის „მეშახტის“ ფეხბურთელთა კოლექტივის წევრების ბ. თოდიძისა და ე. გოგორელიანისა, აგრეთვე, ელმავლის მემანქანის შ. ქარხალაშვილის მამაცურ საქციელს, რამაც ადამიანს სიცოცხლე შეუნარჩუნა. ვბეჭდავთ „ტყიბულში“ გამოქვეყნებულ ამ წერილს:

„ტყიბულ-თბილისის სახალხო მატარებელი სადგურიდან გავიდა და რკინიგზის ხიდს მიუახლოვდა. მემანქანე შამშე ქარხალაშვილმა ელმავლის შუქზე შენიშნა, რომ ლიანდაგებიდან ხიდის მოაჯირისკენ გადასული ორი მოქალაქიდან ერთ-ერთი წაიქცა და პირდაპირ მდინარეში გადავარდა. ელმავლის მემანქანე არ დაიბნა, სახალხო მატარებლის შემადგენლობა სწრაფად დაამუხრუჭა და საყვირით განგაში ატეხა. მატარებელში მყოფი მეშახტე ფეხბურთელთა გუნდის წევრები ბიძინა თოდიძე და ელდარ გოგორელიანი განგაშის ხმაზე ვაგონიდან პირველნი გადახტნენ და ხიდთან მიირბინეს. ისინი ხიდიდან პირდაპირ წყალში გადახტნენ, ნაპირზე გაიყვანეს დაზარალებული და პირველი სასწრაფო დახმარება აღმოუჩინეს მას, შემდეგ კი მოტოციკლით ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში მიიყვანეს. სპორტსმენების მამაცობამ სიკვდილისგან იხსნა გოგონა.

როგორც შემდეგ გამოირკვა, ნუნუ ბარბაქაძე დედასთან ერთად ნათესავთან მიდიოდა. რკინიგზის ხიდზე გადასვლისას ელმავლის შუქმა გოგონას მხედველობა დააკარგვინა, მატარებლის გვერდის აქცევის მიზნით იგი ხიდის მოაჯირისკენ გადავიდა, მაგრამ წაიბორძიკა და მდინარეში გადავარდა. დედამ ყვირილი ატეხა და ის იყო მატარებელიც გაჩერდა.

განსაცდელში ჩავარდნილ ადამიანს ფეხბურთელების ბ. თოდიძის, ე. გოგორელიანისა და ელმავლის მემანქანის შ. ქარხალაშვილის კეთილშობილურმა საქციელმა სიცოცხლე შეუნარჩუნა“.

თბილისელთა რევანში

თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 29 ოქტომბერი.

„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი) 1:0 (0:0).

„დინამო“: იმნაძე, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ებრალიძე, ხინჩაგაშვილი, ქორიძე, მ. მაჩაიძე, ესებუა, გუცაევი, ყიფიანი, დარასელია (რეხვიაშვილი).

„სპარტაკი“: პროხოროვი, ბუკიევსკი, სამოხინი, აბრამოვი, ოსიანინი, ლოვჩევი, ბულგაკოვი (სიდოროვი), კოკორევი, პაპაევი, გლადილინი (კოდილევი), ანდრეევი.

მსაჯი ტ. ბახრამოვი (ბაქო).

დუბლიორები — 0:0.

საშუალო ადგილებისთვის ბრძოლა — სხვა პერსპექტივა ფაქტიურად არა აქვთ წლეულს თბილისის „დინამოს“ და მოსკოვის „სპარტაკს“, წარსულში ჩვენი ფეხბურთის აღიარებულ ლიდერებს. მართალია, ის მძიმე კრიზისი, როცა როგორც ერთ, ისე მეორე გუნდს ძალზე ცუდად ჰქონდათ საქმე გათამაშების ცხრილში და აუტსაიდერთა შორისაც იმყოფებოდნენ, განვლილია, მაგრამ საშუალო გუნდის მარკა არავითარ შემთხვევაში არ შეეფერებათ ამ განთქმულ კოლექტივებს.

მატჩი კი ზუსტად საშუალო ადგილებისთვის მებრძოლი გუნდების დონეს შეეფერებოდა. იგი არ გამოირჩეოდა არც წმინდა საფეხბურთო თვალსაზრისით, არც სანახაობრივად, იგი მიმდინარეობდა დუნედ, მონოტონურად, უმთავრესად — მინდვრის შუაგულში და თუ თბილისელთა გულშემატკივრებმა 2 ქულის აღებით მაინც მიიღეს გარკვეული სიამოვნება, „სპარტაკის“ ბანაკი ამ მხრივაც გაწბილებული დარჩა.

„სპარტაკი“! ვის ვის და მე კარგად მახსოვს ეს შესანიშნავი გუნდი. რა ძნელი იყო მასთან თამაში, როგორ გუგუნებდნენ მაყურებლებით სავსე ტრიბუნები, რა აჟიოტაჟი სუფევდა სტადიონზე. ახლა, დამეთანხმებით, 8 ათასი დამსწრე ვერაფერი აუდიტორიაა „დინამოსა“ და „სპარტაკის“ მატჩისთვის.

შეიძლება, მოთამაშეებზე გარკვეული გავლენა მოახდინა იმან, რომ მათ სულ რამდენიმე დღის წინ ძალზე ძნელი მატჩები ჰქონდათ (თბილისელებს — კიევის „დინამოსთან“, მოსკოველებს — „ზარიასთან“) და თავი იჩინა დაღლილობამ, მაგრამ ეს არგუმენტი ვერავითარ შემთხვევაში ვერ ამართლებს თამაშის დაბალ დონეს.

აშკარად სუსტად გამოიყურებოდა „სპარტაკი“, რომელმაც მთელი შეხვედრის განმავლობაში ხეირიანი ვერაფერი აჩვენა. ვერ გამოიჩინა თავი გუნდის საუკეთესო სნაიპერმა ანდრეევმა, საფუძვლიანად ჩაკეტეს სწრაფი, ენერგიული ბულგაკოვი, სისტემატურად ცდებოდა და ინერტული იყო მთავარი გამთამაშებელი პაპაევი და, საერთოდ, მოსკოველები, რომლებიც ზუსტი კომბინაციური თამაშით გამოირჩეოდნენ ყოველთვის, სწორედ გადაცემებისას იყვნენ უზუსტონი. ერთადერთი, ვინც დაგვამახსოვრდა, იყო ლოვჩევი და ისიც მხოლოდ მას შემდეგ, რაც დინამოელებმა გოლი გაიტანეს და სტუმრები დამარცხების საშიშროების წინაშე აღმოჩნდნენ.

თბილისელებს მნიშვნელოვანი ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ მატჩის დასაწყისიდანვე და ამაში უპირველესი დამსახურება მიუძღვის თავდასხმას, კერძოდ, გუცაევს და ყიფიანს. მათ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს პროხოროვის კართან. მათ აქტიურად უჭერდა მხარს ნახევარდაცვიდან მაჩაიძე. გამოვყოფთ, აგრეთვე, მეკარე იმნაძეს, რომელიც მატჩიდან მატჩამდე აუმჯობესებს თამაშს. მან ძნელი ბურთები აიღო ანდრეევისა და კოკორევისგან, კარგად ურთიერთმოქმედებდა მცველებთან.

შეხვედრის ბედი გადაწყვიტა გუცაევის მიერ 59-ე წუთზე გატანილმა გოლმა. დარასელიამ მაღალ ტემპში, სწრაფად გაითამაშა ბურთი გუცაევთან, ამ უკანასკნელმა გადაინაცვლა მარცხენა ფრთაზე და ზუსტად გაგზავნა ბურთი ბადეში.

გ. ანთაძე,

სპორტის დამსახურებული ოსტატი.

სტატისტიკოსის ბლოკნოტიდან

საიუბილეო გოლები

როგორც ცნობილია, თბილისის დინამოელებმა ამას წინათ ტაშკენტში გაიტანეს თავიანთი საიუბილეო, 1600-ე გოლი საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში.

არის სხვა საიუბილეო გოლებიც. მოსკოვის „სპარტაკის“ ფეხბურთელებმა დნეპროპეტროვსკის „დნეპრთან“ II წრის შეხვედრაში გაიტანეს 1700-ე გოლი, კიევის „დინამომ“ ლენინგრადის „ზენიტთან“ 1500-ე, ხოლო მოსკოვის ცსკა-მ 3 ოქტომბრის მატჩში მოსკოვის „ლოკომოტივისგან“ მიიღო „საიუბილეო“ მე-1000 გოლი, თანაც ეს ბურთი გაიტანა არმიელთა ყოფილმა მოთამაშემ ვ. უტკინმა, რომელიც ახლა „ლოკომოტივში“ გამოდის.

ვ. აბრამიშვილი.

„იმედის თასზე“

ოდესა. მოზარდ ფეხბურთელთა აქ მიმდინარე საკავშირო ფინალურ გათამაშებაში წარმატებას მიაღწიეს საქართველოს წარმომადგენლებმა, რომლებმაც დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხეს რსფსრ-ს ძლიერი გუნდი — 1:0. გოლი გაიტანა გილაურმა.

სხვა შეხვედრათა შედეგები ასეთია: უკრაინა — ლენინგრადი 1:1, სომხეთი — მოსკოვი 0:0.

ტურნირს 3 ქულით ლიდერობს საქართველოს ნაკრები.

რესპუბლიკურ სპორტკომიტეტში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი წლევანდელი საფეხბურთო სეზონის დამთავრების შემდეგ მოსკოვის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტთან არსებულ მწვრთნელთა უმაღლეს სკოლაში სასწავლოდ აგზავნის სპორტის ოსტატებს ს. კუტივაძეს და კ. ასათიანს. სწავლების ვადაა 2 წელი.

ევროპის ჩემპიონატი

I ჯგუფი

29 ოქტომბერი. ბრატისლავაში ერთმანეთს ხვდებოდნენ ჩეხოსლოვაკიისა და ინგლისის გუნდები. ნათამაშევი იქნა მხოლოდ 17 წუთი, რის შემდეგ იტალიელი არბიტრი მიკელოტი იძულებული შეიქნა შეეწყვიტა თამაში უამინდობის გამო. მატჩი გადათამაშებულ უნდა იქნას.

ამავე დღეს შოტლანდიელებმა გლაზგოში მიიღეს დანიის ნაკრები და დაამარცხეს იგი ანგარიშით 3:1. ახლა I ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა.

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
ესპანეთი	5	3	2	0	8—4	8
შოტლანდია	5	2	2	1	7—5	6
რუმინეთი	4	1	3	0	8—3	5
დანია	6	0	1	5	3—14	1

III ჯგუფი

საინტერესო მდგომარეობა შეიქმნა III ჯგუფში მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ ირლანდიის ფეხბურთელებმა ბელფასტში ანგარიშით 3:0 დაამარცხეს ნორვეგიის ნაკრები. 19 ნოემბერს იუგოსლაველებმა თავიანთ მინდორზე უნდა მიიღონ ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდი. გათამაშების ცხრილიდან ნათლად ჩანს, რომ იუგოსლაველებს I ადგილის დასაკავებლად წაგებაც კი შეუძლიათ, მაგრამ არაუმეტეს 2 ბურთის განსხვავებით.

იუგოსლავია	5	4	0	1	11—4	8
ჩრ. ირლანდია	5	3	0	2	8—4	6
შვეცია	6	3	0	3	8—9	6
ნორვეგია	6	1	0	5	5—15	2

VI ჯგუფი

ირლანდიის ნაკრებმა დუბლინში არავითარი შანსი არ დაუტოვა თურქეთის გუნდს, რომელიც დაამარცხა ანგარიშით 4:0. ამ თამაშში თავი გამოიჩინა გივენსმა, რომელმაც ოთხივე ბურთი გაიტანა მეტოქეთა კარში, თანაც 3 მათგანი — 9 წუთის განმავლობაში (27-ე — 36-ე წუთები).

საბჭოთა ფეხბურთელებს, რომლებიც ამავე ჯგუფში გამოდიან, სათამაშო დარჩათ 2 მატჩი: 12 ნოემბერს შინ შვეიცარიელებთან და 23 ნოემბერს სტუმრად — თურქებთან. მათ ევროპის ჩემპიონატში ბრძოლის გასაგრძელებლად 2 ქულაც ჰყოფნით.

ირლანდია	6	3	1	2	11—5	7
სსრ კავშირი	4	3	0	1	6—4	6
თურქეთი	5	1	2	2	4—10	4
შვეიცარია	5	1	1	3	4—6	3

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

პელე. აუცილებლად პელე!

ბოლივიის ფეხბურთის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით ამ ქვეყანაში გაიმართება საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც მოწვეულია სამხრეთ ამერიკის ყველა ქვეყანა.

ბრაზილიელებს მასპინძლებმა კატეგორიული მოთხოვნა დაუსვეს: მათს შემადგენლობაში აუცილებლად უნდა ითამაშოს პელემ. მაგრამ პელეს საკითხი ბრაზილიელებამდე უნდა გადაწყვიტოს ნიუიორკის „კოსმოსმა“, სადაც ახლა იგი გამოდის.

პაატა შამუგიას სამმაგი პირუეტი

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი პაატა შამუგია ამჟამად ლონდონშია.

23 წლის თბილისელ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს წვრთნის საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი პ. ბურჯანაძე. მისი მოწაფე წარმატებით გამოვიდა საერთაშორისო „ვარსკვლავთა ტურნირში“, სსრ კავშირისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში, წლეულს საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა ბჯენით ხტომაში, სსრ კავშირის თასის გათამაშებაში კი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

პ. შამუგიამ პირველმა საბჭოთა კავშირში შეასრულა თავისუფალ ვარჯიშში ურთულესი ელემენტი — „სამმაგი პირუეტი“ და ძელზე — „ორმაგი უკუმალაყი გამართული წელით ჩამოხტომში“.

• • •

სურათებზე: ყოველ დილას საწვრთნელი რბენა; კუნთები ელასტიკური უნდა იყოს; ვარჯიშის შემდეგ; პ. შამუგია (მარჯვნიდან პირველი) საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გამოცდის წინ.

მ. დათიკაშვილისა და ი. დავითაშვილის ფოტოები.

(საქინფორმი).

იმედი დიდი ძალაა

დასასრული

დაიწყო (პირველი ტყვია შვიდიანს მოახვედრა), მაგრამ მერე გამოასწორა მდგომარეობა და საბოლოოდ 46 ქულას მოუყარა თავი. IV საფეხურის II ასაკობრივ ჯგუფში მოასპარეზე საქართველოს ქალთა გუნდმა ამ სახეობაში საპრიზო ადგილი თუ ვერ მოიპოვა, ამაში დამნაშავე ისევ გუნდის მესამე წევრის უყოლობა გახლავთ (თურმე, მესამე სრულფასოვანი სპორტსმენის მოძებნა რესპუბლიკაში არ მოხერხდა!) ამ მიზეზით დაკარგული ქულები საქართველოს ნაკრების საბოლოო შედეგზე, ცხადია, ძალიან იმოქმედებს.

IV საფეხურის II ასაკობრივი ჯგუფის ვაჟთა შეჯიბრებაში, საბჭოთა კავშირის 50 წლისთავის სახელობის თბილისის საწარმოო გაერთიანების მუშამ ი. ვახტანგიშვილმა სროლაში მხოლოდ 1 ქულა დაკარგა და უკრაინელ ვ. ოგიისთან ერთად III-IV ადგილები გაიყო. ერთი სიტყვით, ჩვენს სპორტსმენებს ტყვიის სროლაში მაინც და მაინც თითქოს არ უნდა დავემდუროთ, მაგრამ მათი მწვრთნელი ა. ჩაჩანიძე მაინც უკმაყოფილოა. აი, რა გვიამბო მან:

„იმ ათდღიან შეკრებაზე, რომელიც თბილისში ჩატარდა, ტყვიის სროლაში ყველა გულმოდგინედ როდი ვარჯიშობდა. ზოგიერთი მეცადინეობის 50 პროცენტსაც არ დასწრებია. ეს რომ არა, ჩვენები ამ სახეობის საერთო ჩათვლაში საპრიზო ადგილების პრეტენდენტები იქნებოდნენ. მეტს ველოდი მიხეილ ნოვოსელცოვისგან. იგი ხუთჭიდში საბჭოთა კავშირის იუნიორთა ჩემპიონია, გამოცდილება არ აკლია და სროლაც იცის, მაგრამ აქ თავის შესაძლებლობაზე აშკარად ცუდად გამოვიდა — 43 ქულა ძლივს მოაგროვა. ეს ჩვენი გუნდის წევრებს შორის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია“.

პროგრამის დარჩენილ სახეობებს (ცურვა და მძლეოსნური კროსი) გუნდი იმედის თვალით შეჰყურებს, რათა რამდენიმე საფეხურით მაინც მაღლა აიწიოს, მაგრამ მშდ კომპლექსის მრავალჭიდში მე-2 საკავშირო ჩემპიონატი „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე როგორი შედეგებითაც არ უნდა დამთავრდეს, ერთი ცხადია: ეს ღონისძიება უდავოდ ხელს შეუწყობს მოკავშირე რესპუბლიკებში სპორტის აღმავლობას, გამაჯანსაღებელი და მასობრივ-ფიზკულტურული საქმიანობის შემდგომ წინსვლას, ვინაიდან როგორც აქ კონფერენციაზე ითქვა, მშდ კომპლექსის მრავალჭიდში შემდგომი წლების ჩემპიონატები ყველა რესპუბლიკის კომკავშირულ, პროფკავშირულ და ფიზკულტურულ ორგანიზაციებს ახალ ამოცანებს დაუსახავს.

ტექნიკური შედეგები. II საფეხური. 60 მეტრზე რბენა. გოგონები. ვ. ბალიუნაიტე (ლიტვა) — 7,8, მ. მოროზოვა (ლენინგრადი) — 7,8, ს. ბახანოვა (აზერბაიჯანი) — 7,8; **ჩოგბურთის ბურთის ტყორცნა.** ლ. ბოლოვანი (უკრაინა) — 42,98, მ. მოროზოვა — 41,16, ვ. ოხტლა (ესტონეთი) — 40,76; **სიგრძეზე ხტომა.** ტ. როსლიაკოვა (ყირგიზეთი) — 5,78, ს. კრამიგი (ბელორუსია) — 5,53; მ. მოროზოვა — 5,43; **ბიჭები. რბენა 60 მ.** პ. სტეპანენკოვი (რსფსრ I) — 7,1, გ. მურაშოვი (ლატვია) — 7,2, ვ. ბოევი (ყაზახეთი) — 7,2, ს. ნაზაროვი (აზერბაიჯანი) — 7,2; **ჩოგბურთის ბურთის ტყორცნა.** ა. დრაგინი (ყირგიზეთი) — 56,98, ი. ლევინი (უკრაინა) — 51,90, ი. ისტრებოვი (ტაჯიკეთი) — 50,40... V. ნ. კოჩეტკოვი (საქართველო) — 49,30; **სიგრძეზე ხტომა.** ს. ნაზაროვი — 6,33 მ. ი. ისტრებოვი — 6,24, ნ. პანკოვი (ბელორუსია) — 6,22; **III საფეხური. ქალიშვილები. 100 მეტრზე რბენა.** ნ. გრინიაკი — 12,7, ნ. კუზმინიხი (ორივე — ტაჯიკეთი) — 12,7, ა. აფონინა (უკრაინა) — 12,7; **ხელყუმბარის ტყორცნა.** გ. ტამულეთი (მოლდავეთი) — 43,34, ნ. გრაჟინა (ლიტვა) — 38,90, ლ. ტოლსტაია (სომხეთი) — 38,04; **სროლა.** ვ. ვოლკოვა (რსფსრ I) — 49 ქულა, ხ. ლიხიცკაია (უკრაინა) — 49, ლ. მუხანოვა (რსფსრ I) — 49; **ჭაბუკები. რბენა 100 მ.** ვ. სტაროვოიტოვი — 11,1, ი. ზილფუგაროვი (ორივე — ბელორუსია) — 11,3, ა. ბუდკევიჩი (აზერბაიჯანი) — 11,5; **ხელყუმბარის ტყორცნა.** დ. ანდრეევი (რსფსრ I) — 65,60, ი. ნიკიტინი (ლატვია) — 61,37, გ. ალიოშკინი (მოსკოვი) — 60,53; **სროლა.** ა. სულთანოვი (ყირგიზეთი) — 50 ქულა, ვ. ჩერვიაკოვი (რსფსრ I) — 49, რ. დობროვოლსკისი (ლიტვა) — 49; **IV საფეხურის I ასაკობრივი ჯგუფი. ქალები. 100 მ. რბენა.** ლ. სლადჩენკო (ტაჯიკეთი) — 12,7, ა. ვიკულოვა (ლენინგრადი) — 12,8, ი. როლი (ბელორუსია) — 12,9; **ხელყუმბარის ტყორცნა.** ნ. ივანოვა (რსფსრ I) — 50,39, ი. ბუდვიტიტე — 50,34, ზ. იანუშიტე (ორივე — ლიტვა) — 50,00... VII. გ. ძიუბანი — 43,16, VIII. ც. კამლია (ორივე — საქართველო) — 42,92; **სროლა.** ვ. კომპანეეცი (უკრაინა) 50 ქულა, გ. ბირკა (მოლდავეთი) — 49, მ. სმოლიჩი (ბელორუსია) — 49... IX. კამლია — 48, X. ძიუბანი — 48 ქულა; **ვაჟები. 100 მ. რბენა.** ს. სოტნიკოვი (რსფსრ I) — 10,8, პ. დოროშჩენკო (ბელორუსია) — 11,1, ს. გავუბნიჩენკო (ყაზახეთი) — 11,3; **ხელყუმბარის ტყორცნა.** დოროშჩენკო — 65,64, ა. მიჩკინი (ყირგიზეთი) — 64,65, ვ. ანტიმონოვი (ყაზახეთი) — 60,44; **სროლა.** ს. გაბინედი (რსფსრ I) — 59, ქ. ემარინი (ესტონეთი) — 49, ი. ნარგიზიუსი (ლიტვა) — 49; **IV საფეხურის II ასაკობრივი ჯგუფი. ქალები. 100 მ. რბენა.** ე. გურსკაია (ბელორუსია) — 13,3, ნ. ბოგოსლავსკაია (რსფსრ I) — 13,4, გ. აბოლიტე (ლატვია) — 13,4, ლ. ყარკოვა (აზერბაიჯანი) — 13,4; **ხელყუმბარა.** გ. რეზებერგა (ლატვია) — 46,50, ვ. დიმიტრაკა (ყაზახეთი) — 46,22, ნ. ლუნკინა (ბელორუსია) — 44,26; **სროლა.** ნ. ლუნკინა — 50 ქულა, ვ. სუხარკოვა — 49, ლ. პეტროვა (ორივე — ლენინგრადი) — 48, თ. რომანოვა (საქართველო) — 48, ნ. კუზნეცოვა (ლენინგრადი) — 48; **ვაჟები. 100 მ. რბენა.** ვ. შაბანოვი — 11,1, ნ. პიროგი (ორივე — რსფსრ I) — 11,2, ვ. ფილიპოვი (აზერბაიჯანი) — 11,2; **ხელყუმბარა.** უ. ლებედევი (ლატვია) — 68,70, ა. სავიცკი (მოლდავეთი) — 61,52, ვ. პესტოვსკი (მოსკოვი) — 60,06; **სროლა.** გ. ავერიანოვი (ტაჯიკეთი) — 50, რ. კალიტისი (ლიტვა) — 50, ი. ვახტანგიშვილი (საქართველო) — 49, ვ. ოგიი (უკრაინა) — 49.

ო. გელაშვილი.

შალვა ნოზაძე

შალვა ივანეს ძე ნოზაძე მოჭიდავეთა იმ თაობის წარმომადგენელი იყო, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ფალავანთა სახელოვან ისტორიასა და ტრადიციებს. ასეთ ადამიანზე ამბობენ ხოლმე, რომ მისი ცხოვრებისეული გზა არაფრით იყო გამორჩეული. ასეთი გზა განვლო ყველამ, ვისთვისაც საკუთარ სახელსა და დიდებაზე უფრო ძვირფასი ერის სახელია, ვინც შეუმჩნევლად მოდის ხოლმე სპორტში და მერე, მთელი სიცოცხლის მანძილზე, უანგაროდ ემსახურება მას.

შალვა ნოზაძემ საყვარელ ჭიდაობას 40 წელი შესწირა (დაიბადა 1915 წელს, ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბანში) და მუდამ კმაყოფილი იყო იმით, რომ თავის საყვარელ საქმეს ემსახურებოდა.

ჯერ კიდევ ომამდე დიდი ხნით ადრე, თბილისის უნივერსიტეტში სწავლის დროს გაიტაცა იგი სპორტმა — კლასიკურმა ჭიდაობამ. ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბანში ფეხადგმულმა ჭიდაობის ხელოვნება ბავშვობაშივე ისწავლა, მერე კი მის სრულყოფას შეუდგა.

ეს იყო პერიოდი, როცა ჩვენს ქვეყანაში ფეხს იდგამდა თავდაცვის ორიგინალური კომპლექსი — სამბო, რომელშიც თავმოყრილი და სისტემატიზირებული იყო საბჭოთა ხალხის მდიდარი საჭიდაო ფოლკლორი. შალვამ იცოდა ქართული ჭიდაობა, კლასიკური, თავისუფალი და სულ მალე შეითვისა სამბოს ურთულესი ხელოვნებაც. და აი, 1940 წელს სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა უმჩატეს წონაში.

... მერე კი დაიწყო საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი და შალვა ნოზაძეც ჩადგა სამშობლოს დამცველთა რიგებში. თავისი ხალხისა და ქვეყნის წინაშე მან პირნათლად მოიხადა ვალი. ხოლო, როცა ომი დამთავრდა და საბჭოთა ხალხი მშვიდობიანი მშენებლობის გზას დაადგა, შალვა საყვარელ სპორტს, ჭიდაობას დაუბრუნდა. ომში მიღებული გამოცდილება და წრთობა მას სარბიელზეც გამოადგა. იგი კიდევ ორჯერ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი, ერთხელ თავისუფალ ჭიდაობაში, ერთხელ — სამბოში.

ასეთია შალვა ნოზაძის სპორტული ბიოგრაფიის ძირითადი მომენტები.

მაგრამ ბიოგრაფია ამით არ მთავრდება. უფრო მეტიც, აქტიურ სპორტს ჩამოცილებული შალვა იწყებს ახალ ცხოვრებას, რომლის მთავარი მიზანი ახალგაზრდა თაობის აღზრდა იყო. აქ კიდევ უფრო დიდი ძალით გამოჩნდა მისი შინაგანი ღირსებები — შეგნებულობა, მოვალეობისადმი თავდადება, ენთუზიაზმი და შრომის უნარი.

ასეთ ადამიანებს არ უყვართ თვითრეკლამა. საქმეს თავად უნდა განესაზღვრა, თუ რამდენად სწორი გზით მიჰყავდა ახალგაზრდობა მწვრთნელს. და განსაზღვრა კიდეც: შალვა ნოზაძემ დიდ სპორტში გაუკაფა გზა გიორგი სხირტლაძეს და გურამ სალარაძეს, ნუგზარ გოგიბედაშვილს და იოსებ გრატიაშვილს, ბევრ სახელოვან ფალავანს, მსოფლიოში აღიარებულ ოსტატს.

შალვა ნოზაძის მოღვაწეობა საქართველოს სპორტის ისტორიის სიამაყის ფურცლებია. ამიტომაც დაუფასეს მას სამსახური. შალვა იყო სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე...

მაგრამ მისი ყველაზე დიდი თვისება — ადამიანობა იყო. ჩუმი, უენო, ფუტკარივით მშრომელი, ყველას მოსიყვარულე და ყველასთვის მაგალითის მიმცემი, შალვა ნოზაძე დიდხანს დარჩება მეხსიერებაში, როგორც სიკეთისა და ადამიანობის სიმბოლო. ამიტომაც არის მისი სიკვდილი ეგზომ დიდი დანაკლისი სპორტისთვის.

საქართველოს თავისუფალი სტილის ჭიდაობის ფედერაცია.

ჭიდაობის უმაღლესი სპორტული ოსტატობის რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლა.

ლ. ბელავენეცი სსრ კავშირის ჩემპიონია

ფრუნზე, 31 ოქტომბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). ქალთა 35-ე საკავშირო ჩემპიონატის დასკვნით, XVII ტურში ლ. ბელავენეც — ტ. ზატულოვსკაიას (ორივე — მოსკოვი) შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ბელავენეცი პირველად გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი და საზონათშორისო ტურნირის მონაწილე.

ტ. ფომინა (ტალინი) და ლ. შჩერბინა (სევასტოპოლი) სწრაფად დაზავდნენ: პირველი თ. ბელოვასთან (ფსკოვი), მეორე — ლ. საუნინასთან (სვერდლოვსკი). ამით ორივე საპრიზო ადგილებზე გავიდა და, რაც მთავარია, საზონათშორისო ტურნირში მოხვდა. ერთი საგზური შეეძლო მოეპოვებინა ვ. ახმილოვსკაიას (კრასნოიარსკი), მაგრამ ნ. მედიანიკოვასთან (მოსკოვი) მწვავე ბრძოლაში უპირატესობა რომ ვერ მიიღო, მას დაუზავდა. ახმილოვსკაიამ შეინარჩუნა საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლებისთვის ბრძოლის შესაძლებლობა. მან ე. ფატალიბეკოვას (მოსკოვი) მატჩი უნდა ეთამაშოს.

სხვა პრეტენდენტები მ. ჩიბურდანიძე (თბილისი) და ა. გრინფელდი (კალინინგრადი) დამარცხდნენ. ჩიბურდანიძეს თანაქალაქელმა ნ. გურიელმა მოუგო, გრინფელდს — მ. რანიკუმ (ტალინი).

ნ. ტიტორენკომ (მოსკოვი) სძლია ლ. კრისტოლს (ლენინგრადი). ყაიმით დამთავრდა ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი) — მ. ლიტინსკაიას (ლვოვი) შეხვედრა.

ამრიგად, ტურნირი დამთავრდა. გთავაზობთ მის შედეგებს: I. ბელავენეცი — 10, II-III. ფომინა, შჩერბინა — 9,5-9,5, IV-V. ახმილოვსკაია, ფატალიბეკოვა — 9-9, VI. კოზლოვსკაია — 8,5, VII-XI. ზატულოვსკაია, გრინფელდი, ლიტინსკაია, საუნინა, ჩიბურდანიძე — 8-8, XII-XIV. კრისტოლი, რახიკუ, ტიტორენკო — 7,5-7,5, XV. მედიანიკოვა — 6,5, XVI. ბელოვა — 6, XVII. გურიელი — 5,5.

მ. შიშოვი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის ოსტატი.

კიდევ ოთხი მონაწილე

პულაში (იუგოსლავია) დამთავრდა ქალთა მსოფლიო პირველობის ზონალური ტურნირი. საზონათშორისო ტურნირის საგზურები მოიპოვეს: ტ. ლემაჩკომ (ბულგარეთი), ჟ. ვერეციმ (უნგრეთი), ა. ვენ დერ მიიემ (ჰოლანდია, წარსულში ცნობილი ნიკოლაუს გვარით) და მ. ლაზარევიჩმა (იუგოსლავია).

შეხვედრები ფინიშთან

ა. ალიოხინის მემორიალში კიდევ სამი ტური გათამაშდა. გთავაზობთ მათ შედეგებს:

XI ტურში ე. გელერმა მოუგო ა. ბელიავსკის. დაძაბულად მიმდინარეობდა ტ. პეტროსიან — ვ. კორჩნოის (ყველა — სსრ კავშირი) შეხვედრა. ეს პარტია ორჯერ გადაიდო. 74-ე სვლაზე კორჩნოიმ მოიგო იგი. ლ. ლენდიელმა (უნგრეთი) სძლია ა. პლანინცს (იუგოსლავია), რ. ბირნმა (აშშ) — გ. ბიომს (ჰოლანდია). დაზავდნენ ბ. სპასკი — მ. ტალი (ორივე — სსრ კავშირი), ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — მ. სტინი (ინგლისი), გ. ფორინტოში (უნგრეთი) — რ. ხოლმოვი (სსრ კავშირი).

XII ტურში კორჩნოიმ კინაღამ წააგო ბიომთან, საბჭოთა დიდოსტატმა ვერ შეამჩნია ფიგურის მოგება. ბოლოს ჰოლანდიელი შეცდა და დამარცხდა. ვაჟანიანმა ლამაზი კომბინაციით სძლია ფორინტოშს. სპასკიმ მოუგო სტინს, ხოლმოვმა — ბელიავსკის, გელერმა — პლანინცს. დაზავდნენ ტალ — ბირნი. გადაიდო პეტროსიან — გარსიას შეხვედრა.

XIII ტურში ყაიმზე შეთანხმდნენ გელერ — ხოლმოვი, ფორინტოშ — პეტროსიანი, კორჩნოი — ტალი და სპასკი — ლენდიელი. სხვა პარტიები გადაიდო.

13 ტურის შემდეგ გელერს 9 ქულა და 1 გამოტოვებული პარტია აქვს, სპასკის — 8,5, ვაჟანიანს — 8 (1), ხოლმოვს — 8, ბელიავსკის — 7,5 (1), კორჩნოის, ტალს — 7,5-7,5, პეტროსიანს — 7 (1).

ფინიში კიშინიოვში

კიშინიოვში დამთავრდა სსრ კავშირის ვაჟთა 43-ე ჩემპიონატის I ლიგის ტურნირი. დასკვნით, XVII ტურში მ. პოდგაეცი (ოდესა) დაუზავდა ვ. ცეშკოვსკის (ომსკი), ი. კლოვანი (რიგა) — ვ. სავონს (ხარკოვი), ი. დორფმანი (ჟიტომირი) — ბ. გულკოს (მოსკოვი), ვ. ტუკმაკოვი (ოდესა) — მ. ტაიმანოვს (ლენინგრადი), გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი) — ნ. რაშკოვსკს (კურგანი). დ. ბრონშტეინი (მოსკოვი) დამარცხდა ა. პანჩენკოსთან (ჩელიაბინსკი), ი. ივახოვი (დუშანბე) — კ. გრიგორიანთან, ე. ვასიუკოვი (ორივე — მოსკოვი) — გ. ტიმოშჩენკოსთან (ნოვოსიბირსკი) და ე. გუფელდი (თბილისი) — ვ. ჩეხოვთან (მოსკოვი).

საბოლოოდ ადგილები ასე განაწილდა: I. გულკო — 10,5 ქულა, II-III. ბრონშტეინი, კლოვანი — 10-10 (ეს სამეული მონაწილეობას მიიღებს უმაღლესი ლიგის ტურნირში), IV-V. დორფმანი, კუზმინი — 9,5-9,5, VI-VIII. ჩეხოვი, ცეშკოვსკი, რაშკოვსკი — 9-9 (ეს ხუთეული 1976 წელსაც I ლიგის ტურნირში ითამაშებს), IX-XI. ივახოვი, გუფელდი, ტიმოშჩენკო — 8,5-8,5 (I ლიგაში ითამაშებს ივახოვი, ვინაიდან მას კონკურენტებთან შედარებით მეტი პარტია აქვს მოგებული), XII-XIV. ვასიუკოვი, ტაიმანოვი, ტუკმაკოვი — 8-8, XV. სავონი — 7,5, XVI-XVIII. პანჩენკო, გრიგორიანი, პოდგაეცი — 6,5-6,5.

რედაქტორის მოადგილე ზ. ჯაფარიძე.

„ლოკომოტივის“ სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)

ფეხბურთი '75

სსრ კავშირის ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

2 ნოემბერს
„დინამო“ (თბილისი) —
„დინამო“ (მოსკოვი)
ძირითადი შემადგენლობანი.
დასაწყისი 18 ს.

ბილეთების წინასწარი გაყიდვა: აბონემენტებზე — 1 ნოემბერს 12-დან 19 საათამდე სტადიონის სალაროებში, საერთო გაყიდვა — 1 და 2 ნოემბერს 10 საათიდან.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 1 ნოემბერი. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. **უნივერსიტეტი (თბილისი) — „დინამო“ (სოხუმი).** დასაწყისი 12 ს. **პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „კოლხეთი“ (ფოთი).** 15 ს. 30 წთ. **2 ნოემბერი.** „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. **ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყიბული).** 15 ს.

სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭო იუწყება, რომ გარდაიცვალა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საკავშირო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ამავე საზოგადოების მწვრთნელი

შალვა ივანეს ძე ნოზაძე

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66414 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 12166